

საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვალური

სამეცნიერო ჟურნალი

„Scripta manent“

საქართველო

№4 (12)

2011

ჟურნალი დაფუძნებულია
ღია დიპლომატიის ასოციაციის მიერ



Multilingual Reviewing International Scientific Magazine

Международный рецензионный мультилингвальный научный журнал

„Scripta manent“

GEORGIA

ГРУЗИЯ

№4 (12)

2011

OPEN DIPLOMATIC ASSOCIATION

АССОЦИАЦИЯ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

ISSN 1987-7390
UDK (უაკ) 81+82
S-41

სარედაქციო კოლეგია:

მაია ჩხეიძე

მთავარი რედაქტორი

რუსუდან თაბუკაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ია ჩიქვინიძე

პასუხისმგებელი მდივანი

რედაქციის წევრები:

ვიტა ჟურცელაძე, ჰანს რუდოლფ ფლუპი, კულაუ ბიბიტოვა, სილვია ბოტევა,
ტანია ბრისჰამერი, ქეთევან გაბუნია, ია ბურღული, მარია მიხაილოვა,
ტატიანა მებრელიშვილი, ალბა ბრაცინო, ალესანდრა სპადაფორა, გიორგი ყუფარაძე.

მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას 77, კორპუსი VI, სართული VIII

ტელ. : 36 51 76

E-mail : r.tabukashvili@gmail.com

ტექნიკური უზრუნველყოფა: კარინა ხარაზიშვილი

E-mail : k-kharazishvili@mail.ru

scripta.manentmagazine@gmail.com

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ღია დიბლომატიის ასოციაციის ვებგვერდზე:
www.odageorgia.ge

Editorial Board:

Maia Chkheidze, Viola Purtseladze, Rusudan Tabukashvili, Ia Chikvinidze, Hans Rudiger Fluck, Kulpash Beibitova, Tania Griefhammer, Ketevan Gabunia, Ia Burduli, Maria Mikhailova, Silvia Boteva, Tatiana Megrelishvili, Alba Graziano, Alessandra Spadafora, Georgi Kuparadze

Adress: Kostava str. 77, 0175, Tbilisi, Georgia

Tel. : (995 32) 36 51 76

E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Electronic version: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

Редакционная коллегия:

Маия Чхеидзе, Виола Пурцеладзе, Русудан Табукашвили, Ия Чиквинидзе, Ганс Рудигер Флук, Кульпаш Бейбитова, Таня Грисхаммер, Кетеван Габуня, Ия Бурдули, Мария Михайлова, Сильвия Ботева, Татьяна Мегрелишвили, Альба Грациано, Алессандра Спадафора, Георгий Купарадзе

Адрес: Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия

Тел. : (995 32) 36 51 76

E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Электронная версия: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

რედაქციისაბან

ჟურნალი აქვეყნებს როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ყველა მიმდინარეობაზე დაფუძნებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომებს და ადგილს უთმობს აგრეთვე რეცენზიებსა და თარგმანებს.

პროფესიონალ ლინგვისტთა და ლიტერატურათმცოდნეთა ნაშრომების გამოქვეყნების გარდა ჟურნალი მიზნად ისახავს ფილოლოგიის, როგორც ერთ-ერთი ძირძველი ჰუმანიტარული მეცნიერების პოპულარიზაციას მომავალ თაობებში. ჟურნალის რედაქლეგია განსაკუთრებული ინტერესითა და ყურადღებით ეკიდება დოქტორანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომებს.

სარჩევი

ციური ახვლედიანი, ნონა რუაძე ლათინიზმთა ფონეტიკური ასიმილაციის თავისებურებანი საშუალ ფრანგულში.....	9
ირინე გოშხეთელიანი კულტურის გავლენა ინგლისური ენის შესწავლაზე.....	13
ქეთევან გაბუნია, მარინე კვანტალიანი დარგობრივი ენის – ინტერაქციის ობიექტის – სოციოლინგვისტური და დიდაქტიკური ანალიზი.....	21
ირინა კვესელავა აუდირების სწავლებისათვის განკუთვნილი სავარჯიშოების შედგენა.....	26
ირინა კვესელავა მეტაკოგნიციის და პიროვნული რეფლექსიის განვითარება მულტიმედირი დავალებების საშუალებით.....	30
მარინა ზორანიანი შესვედრა როგორც საქმიანი კომუნიკაციის უნარი	34
ნატალია სურგულაძე ფრაზეოლოგიური ერთეულის შიდა ფორმა როგორც ემოციურობისა და გამომსახველობის აღმნიშვნელი საშუალება.....	38
ნინო ქავთარაძე ემანუელ კარერის პოსტმოდერნისტული ექსპერიმენტი.....	43
ლოლიტა თაბუაშვილი ფრანგულ და ქართულ გასტრონომიულ ფრაზეოლოგიზმთა შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი.....	49
რუსუდან თაბუკაშვილი კოლოკაციები დიპლომატიურ ტექსტში.....	53
ნინო ფურცელაძე ვიზუალი, აუდიალი და კინესთეტიკი მსმენელები და მათი სწავლების მეთოდები	58
ქეთევან ჯაში, ნათია აბაშიძე პარონიმული ატრაქცია და ხალხური ეტიმოლოგია.....	62
ია ჩიქვინიძე ენა და კულტურა კულტურათაშორის კომუნიკაციაში.....	69

Contents

Tsiuri Akhvlediani, Nona Rouadze The Specific Features of Latinisms' Phonetical Assimilation in the Middle French Language	9
Irine Goshkheteliani Influence of Culture on learning English	13
Ketevan Gabunia, Marina Kvantaliani Sociolinguua and didactic approach for professional language-object interaction teaching	21
Irina Kveselava Compiling Tasts for Listening comprehension	26
Irina Kveselava Developing Meta-Cognition and Self-Reflection by Mmeans of Multimedia Exercises.....	30
Marina Zoranyan Meeting as Genre of Business Communication.....	34
Natalia Sourguladze Internal Form of Phraseological Unit, as Means of Designation of Enotionalism and Expressiveness.....	38
Nino Kavtaradze Emmanuel Carrère's Postmodern experiment.....	43
Lolita Tabuashvili The Relative-comparative analysis of the French-Georgian gastronomical phraseologisms.....	49
Rusudan Tabukashvili Diplomatic Text Collocation	53
Nino Purtseladze Visual, Auditory, Kinesthetic Learners and teaching methods.....	58
Ketevan Djachy, Natia Abashidze Paronymous Attraction and Folk Etymology	62
Ia Chikvinidze Language and Culture in Intercultural communication	69

Содержание

Циури Ахвледиани, Нона Руадзе Особенности фонетической ассимиляции латинизмов в среднефранцузском языке	9
Ирина Гошхетелиани Влияние культуры на изучении английского языка	13
Кетеван Габуня, Марина Кванталиани Социолингвистический и дидактический подход к преподаванию профессионального языка-объекта интеракции	21
Ирина Квеселава Составление упражнений предназначенных для аудирования	26
Ирина Квеселава Развитие метакогниции и личностной рефлексии при помощи мультимедии	30
Марина Зораня Встреча как жанр делового общения	34
Наталья Сургуладзе Внутренние формы фразеологической единицы для обозначения эмоциональности и выразительности	38
Нино Кавтарадзе Постмодернистский эксперимент Эммануэля Каррера	43
Лолита Табуашвили Сравнительно-сопоставительный анализ французско-грузинских гастрономических фразеологизмов	49
Русудан Табукашвили Коллокации в дипломатическом тексте	53
Нино Пурцеладзе Учащиеся – визуалы, аудиалы, кинестетики и методы их обучения	58
Кетеван Джаши, Натия Абашидзе Паронимическая аттракция и народная этимология	62
Ия Чиквинидзе Язык и культура в межкультурной коммуникации	69

პარონიმული ატრაქცია და ხალხური ეტიმოლოგია

ქეთევან ჯაში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
რომანისტიკის დეპარტამენტი
ი. ჭავჭავაძის პრ. 32, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ: 599 508 337
E-mail: kdjachy@yahoo.com

ნათია აბაშიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ევროპეისტიკის დეპარტამენტი
ნინოშვილის გამზირი 35, 6010, ბათუმი
საქართველო
ტელ: 893 456 595
E-mail: abanatia@yahoo.fr

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში განხილულია ხალხური ეტიმოლოგიის შედეგად მიღებული ლექსემები, რის შედეგადაც ვახდენთ ამ ფენომენისა და პარონიმული ატრაქციის დიფერენცირებას. პარონიმების ამ ლექსემებთან კვაზი-იდენტურობა და სემანტიკური სხვაობა ბინარული სტრუქტურითა და ფუნქციური თავისებურებებით განისაზღვრება. პარონიმული ატრაქციისა და ხალხური ეტიმოლოგიის გზით მიღებული სიტყვები ხშირად მსგავს დიაქრონიულ ცვლილებებს განიცდის, მაგრამ მათი ერთ პრიზმაში მოთავსება მიუღებელია. პარონიმული ატრაქცია უფრო ფართე ცნებაა, ის ფონემათა სხვადასხვა პერმუტაციებს მოიცავს. იგი ვლინდება სინქრონიასა და დიაქრონიაში, ყოველდღიურ მეტყველება-სა და ლიტერატურაში. ხალხური ეტიმოლოგია კი უფრო ვიწრო სფეროს განეკუთვნება. ის შეიძლება პარონიმის ერთ-ერთ გამოვლინებად მივიჩნიოთ.

საკვანძო სიტყვები:

პარონიმული ატრაქცია, ხალხური ეტიმოლოგია, აღსანიშნი, აღმნიშვნელი, ნიშნის ბინარულობა.

შესავალი

პარონიმია ბერძნულად (paronimos) „ახლო მდებარე, მსგავს სიტყვებს ნიშნავს“ [ჰინარი, 1989:313] და მეტყველებაში აზრობრივ შეცდომებს იწვევს. პარონიმია პარადიგმატული მიმართებების წიაღში ისახება და ვერბალურ კომუნიკაციაში ვლინდება, სადაც ხშირად აღმნიშვნელის როლი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აღსანიშნის. აღნიშნულ ლექსემათა კვაზი-იდენტურობა და სემანტიკური სხვაობა ხაზს უსვამს ამ ფენომენის ბინარულ სტრუქტურას და ფუნქციურ თავისებურებებს. პარონიმული ატრაქცია კი (ლათ. attractio მიზიდულობა) ფონეტიკურ-სემანტიკური ასოციაციების მიხედვით სიტყვათა დაწვევლებას ნიშნავს.

პარონიმული ატრაქცია ვლინდება ენის ბუნებრივი ძალით, ეკუთვნის ერთ ბიოლოგიურ არსს და უპირისპირდება ადამიანური ინტელექტის წარმოსახვას. მას ხშირად აიგივებენ „სპონტანურ ანალიზთან“, რომელიც თანამედროვე ენათმეცნიერებაში ხალხური ეტიმოლოგიის სახელით არის ცნობილი.

ტერმინი – ხალხური ეტიმოლოგია – ფორსტემანს [ფორსტემანი 1852:122] ეკუთვნის. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ როცა ეს კონცეპტი შეიქმნა, ხალხური ეტიმოლოგია არ მოიცავდა საკუთრივ ენის ცვლილებებს, ის ეტიმოლოგიის ერთ-ერთ ტიპს წარმოადგენდა. მან ეს ფუნქცია მოგვიანებით შეიძინა, ხოლო როცა ნეოგრამატიკოსებმა ენის ცვალებადობის თეორია განავითარეს, ის „ანალოგიის“ სფეროს მიაკუთვნეს და სიტყვათა


ფორმალური მხარისა და სემანტიკური ცვლილებების ურთიერთქმედების გამოსახატავად გამოიყენეს. ფ. დე სოსიურის კონცეფციების დამკვიდრების შემდეგ ისევ გაიმიჯნა ხალხური ეტიმოლოგია და ანალოგია, და ცალკეულ მიმართულებად განვითარდა. მიუხედავად იმისა, რომ ხალხური ეტიმოლოგიის ფენომენს დიდი ხნის ისტორია აქვს, ის ისევ ვერ იმკვიდრებს ადგილს თანამედროვე ლინგვისტურ თეორიებში და მხოლოდ ფრაგმენტულად განიხილება. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ხალხური ეტიმოლოგია „ცვალებადი ანალოგიის სახეობაა, (un type d'analogie non-systématique), თუმცა ამ მოსაზრებას ბევრი არ ეთანხმება [ჰოკი. 1986:299; ჰოკი და ჟოზეფი. 1996:80].

ძირითადი ნაწილი

ხალხური ეტიმოლოგიის სიტყვები დიაქრონიული ცვლილებების შედეგად მიღებული ლექსემებია. სოსიურის თანახმად, ენობრივი ნიშნისთვის დამახასიათებელი ცვალებადობა ასე უნდა გავიგოთ: „შეიძლება ვიფიქროთ, რომ საუბარია სპეციალურ ფონეტიკურ ცვლილებებზე, რომელსაც აღმნიშვნელი განიცდის ცნების შინაარსობრივ ცვლილებებზე. ცვალებადობის ასეთი გაგება არასაკმარისია: როგორც არ უნდა იყოს ცვალებადობის ფაქტორები, იმოქმედებენ ისინი ცალ-ცალკე თუ ერთობლივად, მათ მუდამ მოსდევთ მიმართების გადაწევა აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის“ [სოსიური, 2002:81]¹. სოსიურის ენის დიქტომია, რომელიც „ენა/მეტყველება“ მოდელის გარდა სინქრონიისა და დიაქრონიის პრინციპებით განისაზღვრება (იხ. სქემა 2), თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ენის ცვალებადობის ფორმებს.

1 მთარგმნელი ც. ბიბილეიშვილი

სქემა



კლასიფიკაციის ეს ორმაგი პრინციპი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ „Tout ce qui est diachronique dans la langue ne l'est que par la parole.“² „ენაში ყოველივე დიაქრონიული მხოლოდ მეტყველებისგან არსებობს“ [სოსიური, 2002:104].

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ხალხური ეტიმოლოგია მხოლოდ ლექსემაზე ზემოქმედებს, მაშინ როცა ანალოგია სიტყვის გრამატიკულ ელემენტებზე ახდენს გავლენას. აქ იგულისხმება მორფემათა ფლექსიურობა, თუმცა დასადგენია, ზოგადად სიტყვათწარმოება გრამატიკის სფეროს უნდა მივაკუთვნოთ თუ ლექსიკის სფეროს. ამას ემატება ისიც, რომ, ზოგჯერ სემანტიკური ცვლილებები სიტყვის კონტაქტებზეც ზემოქმედებენ, რაც არ ფიქსირდება ლექსიკონში. ამის თვალნათელი მაგალითია გამოთქმა *jour ouvrable* „სამუშაო დღე“, რომელიც ფრანგულ ენაში დღევანდელი ინტერპრეტაციით ასოცირდება ზმნასთან *ouvrir* „გახსნა“ და არა მის ძველ ეტიმონთან *ouvrier* = *travailler* „მუშაობა“. ერთი კი ნათელია, ხალხური ეტიმოლოგია მოიცავს კონტამინაციის (ლათ. *contaminacio* დაბინძურებას ნიშნავს; ლინგვ. ახალი გამოთქმის, სიტყვის ან ფორმის გაჩენას ორი ერთმანეთთან ახლო მდგომი გამოთქმის, სიტყვის ან ფორმის შერწყმით). „გააწყალა

2 Cours de linguistique générale, Payot, 2002, p. 259

საქმე“ შეიქმნა „გააწყალა გულის“ მოდელზე /“გააჭირა საქმე“), აგლუტინაციის (აფიქსების მექანიკური დაკავშირება სიტყვის ფუძესთან ან ძირთან), ასიმილაციისა (ერთი ბგერის სრული ან ნაწილობრივი დამსგავსება მეორე, მეზობელ ბგერასთან) და დერივაციის (სიტყვათწარმოება) პროცესების მეშვეობით. სოსიური მიიხნევს, რომ ანალოგიის, აგლუტინაციის, ნასესხები სიტყვების მსგავსად, ხალხური ეტიმოლოგიის როლი ენაში ძალზე დიდია. ერთ-ერთი ის მოვლენათაგანია, რომელიც ქმნის სიტყვის ფორმას და მას ანიჭებს მნიშვნელობას: - souffreteux „ავადმყოფური, სუსტი“, forcené „გიჟი“, habiller „ჩაცმა“³ ის ცვლის გაუანალიზებელი სიტყვის ორთოგრაფიასა და წარმოთქმას.

ნორმატიული თვალსაზრისით ხალხური ეტიმოლოგია „შეცდომაა“, რომელმაც ლექსიკალიზაცია განიცადა, ლინგვისტური თვალსაზრისით კი ეს არის ენის რაციონალიზაციის მცდელობა, რადგანაც გაუანალიზებელი ლექსიკური მნიშვნელობის აღმნიშვნელის შეცვლით მისი მოტივირება ხდება, და იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღსანიშნის ინტერპრეტაცია მცდარია, ეს მოვლენა არ კარგავს თავის ღირებულებას, რადგანაც უფრო საინტერესო ელფერს ანიჭებს სიტყვას და გვიადვილებს მის დამახსოვრებას. ხალხური ეტიმოლოგიის რესურსს ნასესხები და უკვე არსებული სიტყვები, ანალიზს მოკლებული ლექსემები შეადგენს. მაგალითად girouette „ფლუგერი“ ხალხური ეტიმოლოგიით მიღებული კომპოზიცია girer+rouette. სინამდვილეში კი ეს სიტყვა უკავშირდება ანგლო-ნორმანდიულ ტერმინს veðrviti, რომელიც XII საუკუნეში მკვიდრდება wirewite ფორმით. ანგლო-ნორმანდიულში ის ნიშნავდა „ქარის ინდიკატორს“ indicateur (viti) du vent (veðr). ლიტერატურულ ტექსტებში ეს კომპოზიტი მეტაფორულად „ქარიშხალში მოხვედრილ ხომალდს“ აღნიშნავდა. XVI საუ-

კუნეში შეიცვალა ამ ლექსემის ორთოგრაფია, კერძოდ y-ს ჩაენაცვლა i. ცოტა მოგვიანებით კი მისი ეტიმონის მნიშვნელობის გავლენით, რადგანაც ძვ. ფრანგული wirewite ფორმალურად არ უკავშირდებოდა ნაცნობი მნიშვნელობის მორფემას, ერთმანეთს დააკავშირეს girer „ტრიალი“ → rouette „პატარა ბორბალი“ და ამ ფორმით არსებობს თანამედროვე ფრანგულ ენაში.

ძვ. ფრანგულის საზღვაოსნო ტერმინი cal-feter „დაფარვა, დაგმანვა“ feutre ლექსემის გავლენით ახალ ფორმას იღებს calfeutrer. cal-სეგმენტი კი ისევ ამოუცნობი რჩება. faubourg – გარეუბანი. ძველ ფრანგულში უკავშირდებოდა fors-borc-ს, სადაც borc ნიშნავდა პატარა დასახლებას (bourg), fors კი იყო წინდებული (ლათ. foris = hors de), ის აბსტრაქტული მნიშვნელობით გვხვდება ფრანსუა I-ის ცნობილ ფრაზაში: „Tout est perdu fors (hors de, sauf) l'honneur“ – ყველაფერი დაკარგეთ ღირსების გარდა.

ასე რომ, ეტიმოლოგიურად faubourg ნიშნავს «ქალაქისაგან მოშორებულს» (hors de bourg). ისმის კითხვა, არის თუ არა აუცილებელი პარონიმული ატრაქციის მითითება (ძველ და თანამედროვე ფრანგულში) განხილული სიტყვის მიმართ, რადგანაც მას არ განუცდია ეტიმოლოგიური მნიშვნელობის ცვლა. პარონიმული ატრაქციის პროცესებზე დაყრდნობით, ამ შემთხვევაში, ვადგენთ, თუ როგორი ორთოგრაფიული ვარიანტით შემოვიდა ლათინურის გავლენით faubourg და რომ დიდხანს იწერებოდა ცალ-ცალკე falsus burgus და ითარგმნებოდა როგორც faux bourg „ცრუ ქალაქი“. მაგრამ აქაც შეიძლება გაჩნდეს ეჭვი - პარონიმული ატრაქციის ნაცვლად მცდარ „მეცნიერულ ეტიმოლოგიასთან“ ხომ არა გვაქვს საქმე? ცრუ ეტიმოლოგია სულ სხვა მოვლენაა. ის იქმნება პროფესიონალთა და მოყვარულთა მიერ, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ ენასთან. მაშინ, როცა დამწერლობა ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული, სწავლულები გარკვეულ ზეგავლენას

3 CUBY Raymond „C'est faux. Et alors?“ «Le français dans tous ses états» Revue du réseau CNDP pour les enseignants de français. №42. <http://www.crdpmontpellier.fr/ressources/frdtse/frdtse40s.html>

ახდენდნენ მასზე. ეყრდნობოდნენ რა ფრანგული და ლათინური სიტყვების მსგავსებას, ენაში შემოჰქონდათ ფუძე ენისაგან წარმოებული მსგავსი აღსანიშნის მქონე ლექსიკური ერთეულები: *pondus*→*poids* „წონა, სიმძიმე“, *legatum*→*legs* „ანდერძით დატოვებული ქონება“, *tempus*→*entretemps* „დროის მონაკვეთი, ინტერვალი“. და ა. შ. ცრუ ეტიმოლოგია მეცნიერული ეტიმოლოგიის საფუძველზე არსებობს. თავის მხრივ, ხალხური ეტიმოლოგიაც ცრუ ეტიმოლოგიის პრინციპებს იყენებს, მაგრამ ის სიტყვის ისტორიას «არქივის გარეშე ქმნის» [შოვო, 1991:47-61].

პიერ გიროს გამოკვლევების მიხედვით [გირო, 1967:98], ეტიმოლოგიამ არ უნდა განიხილოს სიტყვები ცალ-ცალკე, არამედ უნდა განსაზღვროს ის ლექსიკური კატეგორიები, რომელშიც ეს სიტყვები თავსდებიან. ცრუ ეტიმოლოგია მოიცავს სიტყვათა მცირე რაოდენობას, უმეტესად კონკრეტულს და ერთმნიშვნელოვანს. ასე რომ, ცრუ ეტიმოლოგიაც შეგვიძლია პარონიმის მივაკუთვნოთ. ხალხური ეტიმოლოგია ეყრდნობა ხალხის სურვილს, გაიგონ თუ საიდან მოდის ესა თუ ის სიტყვა და ჩაწვდნენ მის არსს. ხალხური ეტიმოლოგიის მაგალითია სიტყვა *diab(l)ète*, რომელიც მორფემათა შემადგენლობით უახლოვდება ლექსემას *diable* (ეშმაკი). რაც შეეხება მათ ურთიერთკავშირს, ხალხის წარმოდგენით ეს ავადმყოფობა (დიაბეტი) ემართებოდა არაკეთილმოსურნე, ბოროტი სურვილით შეპყრობილ ადმიანს.

როცა სიტყვა ინტერპრეტირებულია სხვა ენაზე მოლაპარაკე ინდივიდის მიერ, მისი გაიგივება ხდება მშობლიური ენის მსგავს სიტყვასთან. ეს ფენომენი ხშირია ტოპონიმებში (ადგილის აღმნიშვნელი სახელები). ასე მაგალითად: *écharie* რაც გამორიყვის ადგილს ნიშნავს, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა აღიქვეს როგორც *les souris*, რადგანაც ალგეოლენტალური სპირანტი S და ალგეოპალატალური Ch ხშირად მონაცვლეობს მეტყველებაში. მდინარეს, რომელიც ამ ადგილზე ერთვო-

და, ერქვა *Apokuisis Sipis* – თავკების მდინარე. ფრანგებმა ეს სახელი გაიგეს როგორც *Rivière Apoucouchiche*. მოგვიანებით *rivière* ჩამოცილდა და დარჩა *Apoucouchiche*, რომელიც შემდეგ არტიკლის წყალობით გახდა *La Poucouchiche*.

პატარა სოფელი, რომელიც დღეისათვის ცნობილია *La Mitaine*-ის (თათმანი) სახელით, ადრე ერქვა *Petite – Allemagne*. საინტერესოა, რამ გამოიწვია ეს, ერთი შეხედვით შეუსაბამო, სახელის ცვლილება? ამის მიზეზია სოფლის ერთი პატარა კოშკი, სადაც იმართებოდა სავარაუდოდ ინგლისელ პროტესტანტთა შეხვედრები ანუ ინგლ. *Meetings*. ეს სიტყვა ასოცირდა ფრანგულ *mitaine*-თან (*meetings/mitaine*) და მოხდა სახელის გადარქმევა.

პარონიმია ვრცელდება როგორც ტოპონიმებზე, ისე პიროვნებებზე. მაგალითად, გერმანელი მითიური მასხარა, კალამბერგის კიურე, მიჩნეულია კალამბურის მამად. ალბათ მის საპატივცემულოდ გაჩნდა ლექსიკონში სიტყვა კალამბური, რაც სიტყვათა თამაშს ნიშნავს. ლინგვისტი დოზა (*CUBY Raymond*) მიიჩნევს, რომ პატარა ქალაქი *Le Val de Vire* ვოდვეილის სამშობლოა. წინათ მისი ფორმა იყო – *vaudevire*. აქ მოსახლე მეწისქვილე პოეტმა პირველმა დაწერა ამ ჟანრის კრებული. სუფიქსი *-ille* რაღაც საერთო უნდა ჰქონოდა სიტყვასთან *ville*. მკვლევართა აზრით, ვოდვეილი პირველად ნიშნავდა სიმღერას, რომელსაც ქალაქში მღეროდნენ. *Vaudevire* შეიძლება მივაკუთვნოთ ტავტოლოგიით შექმნილ სიტყვებს, რომელშიც ასევე შედის ზმნები: *bouleverser* „დანგრევა“, *tournebouler* „აღელვება“, *virevolter* „შემობრუნება, წინ და უკან სიარული“.

სიტყვის მნიშვნელობას რომ ჩაწვდომოდა, ხშირად პლატონი ერთ ლექსიკურ ერთეულს სხვა სიტყვებთან აკავშირებდა. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სიტყვათა კავშირებით უნდა ავხსნათ მნიშვნელობა. პლატონი მხოლოდ სიტყვათშორის კავშირებს ადგენდა. სიტყვათა სხვადასხვა კრიტერიუმით დაახლოებაა შესაძლებელი, რომელთაგან ერთმანეთს არცერთი არ გამორიცხავს. ეტიმოლოგიური კვლევები ელინისტურ ეპოქაში

ჩაისახა და სიტყვათა კავშირებით ნამდვილი მნიშვნელობის დადგენას ცდილობდა [ბლოკი, 1996:74].

ის არ იკვლევდა სიტყვის ისტორიას. ეს თანამედროვე მეცნიერული ეტიმოლოგიის პრეროგატივაა. ხალხური ეტიმოლოგიის საფუძველზე შეიქმნა მრავალი ფრაზეოლოგიური გამოთქმა თუ ენის ცალკეული ერთეულები. განვიხილოთ უფრო დაწვრილებით ხალხური ეტიმოლოგიის როლი მნიშვნელობის მოტივირებაში. მაგალითად, *une bécasse/une bécassine* – მიაშიტი, სულელი ქალია. ეს მეტაფორული გამოყენება აღენ რეის თანახმად [რეი, 2006:56] უნდა უკავშირდებოდეს ამავე სახელის მქონე ფრინველის *bécasse* „ჩიბუსა“ ხასიათს.

ხალხური ეტიმოლოგია, რომელიც სცილდება მეცნიერული ეტიმოლოგიის ჩარჩოებს, როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, მეცნიერული ეტიმოლოგიის საფუძველებს უკავშირდება. მისი შესწავლა ნათელს ჰფენს მრავალ ფრაზეოლოგიურ გამოთქმას. მაგალითად *Tomber dans les pommes* – გულის წასვლა, გულის შეწყობება. გამოთქმის ძველი სახე იყო *tomber en pamoison* ან *tomber dans les pâmes* (*pâmer*). სიტყვა *pâme* თანდათან ნაკლებად გამოიყენებოდა და ხალხმა ის შეცვალა მიმსგავსებული სიტყვით *pomme*, რომელიც ლექსიკონში 1889 წელს დამკვიდრდა.

ენაში არსებობს ისეთი სიტყვებიც, რომელთა სახელდება ხდება მათი წარმოების ადგილის მიხედვით: - *camembert, champagne* [გირო, 1967:98]. მეორე, უფრო პროდუქტიული მოდელია, ფიზიკური ნიშნის მიხედვით სახელდება. აქ შედის, მაგალითად, ლაქებიანი, წინწკლებიანი ცხოველები თუ ფრინველები. პიერ გაროს ჰიპოთეზის მიხედვით, რომელიც დიალექტურ ფორმებს ეყრდნობა, *le maquereau* (სკუმბრია) – „მარმარილოსავით მოხატული თევზი“ (*le poisson marbré de larges bandes*) ასე ეწოდა მისი ფიზიკური ნიშნის მიხედვით. ძველ პროვანსულში მას ეძახდნენ *vairret*-ს (ლათ. *varius*) რაც ნიშნავდა გარდამავალფერებიანს. სიტყვა *Maquereau*-ს მეორე

მნიშვნელობაა „მაჭანკალი“. სუტენიორი (*proxenète*) უკავშირდება ლეგენდას, თითქოს სკუმბრიები გადაცურვის დროს ქაშაყებს მიყვებიან და ხელს უწყობენ მამრებისა და მდედრების დაახლოვებას, ანუ არიან მაჭანკალი თევზები. ამ განმარტებას ვერ ნახავთ ვერც ზოოლოგიაში და ვერც ფოლკლორში, ეს არის ლეგენდა, რომელიც ხშირად მონაწილეობს ახალი მნიშვნელობის შექმნაში (*CUBY Raymond*).

ქართულ ენაში მოვიყვანოთ მაგალითი „საპონელა“ – მცენარე, რომლის ნამდვილი სახელწოდებაა საპონელა, რადგანაც დასრესისას საპონივით ქაფდება. მას იშვიათად შეხვდებით [გამყრელიძე, 2003:55].

„ძილისპირული“ ადრე ნიშნავდა საგალობლის ჭაშნიკს, დღეს კი შიდაფორმის გავლენის შედეგად სიტყვამ „ძილის-პირი“ მიიღო ძილის წინ წარმოსათქმელი სიმღერის მნიშვნელობა.

როგორც ვხედავთ, მეტყველების პროცესში პარონიმთა ეს ეფემერული თამაში აზრობრივ შეცდომებს წარმოშობს. ამ ფენომენის იდენტიფიკატორი ისევ ის ფორმალურად მსგავსი სეგმენტებია, რომლებიც მნიშვნელობის მქონე ერთეულებად აღიქმება.

დასკვნა

ამრიგად, ენაში მოცემული სიტყვები კომპლექსური ერთეულებია. ისინი განისაზღვრება ფორმალური და სემანტიკური მახასიათებლებით, რომელთაგან ზოგი ლექსემა ემოციურ ხასიათს შეიცავს, ასახავს პოზიტიურ, ნეგატიურ ან ნეიტრალურ მიმართებებს. შესაბამისად, რეფერენტი ამ მიმართებებს ემოციურად აღიქვამს. სწორედ ეს ფაქტი (ემოციური აღქმა) განაპირობებს ზოგჯერ ლექსიკურ ერთეულთა მცდარ ინტერპრეტაციას.

პარონიმული ატრაქცია არ უნდა გავაიგოთ „ხალხურ ეტიმოლოგიასთან“. მეტყველებისთვის დამახასიათებელი სპონტანური შეცდომის ე.წ. „lapsus lingua“ განხილვის შედეგად ეს ფენომენი შეგვიძლია მივიჩნიოთ როგორც პარონიმის ერთ-ერთი გამოვლინება.

ლიტერატურა

1. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ. (2008): თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თსუ. თბილისი
2. სოსიური ფ. დე (2002): ზოგადი ენათმეცნიერების კურსი. დიოგენე. თბილისი. მთარგმნელი ც. ბიბილეიშვილი
3. Bloch O. W. Wartburg (1996): Dictionnaire étymologique de la langue française. PUF
4. Chauveau J-P. (1991): Discours étymologiques des locuteurs, des militants, des linguistes: à propos des rapports du gallo et du breton, in Chambon&Ludi
5. CUBY Raymond „C'est faux. Et alors?“ «Le français dans tous ses états» Revue du réseau CNDP pour les enseignants de français. №42. <http://www.crdp-montpellier.fr/ressources/frdtse/frdtse40s.html>
6. Forstemann E. (1852): Über deutsche Volksetymologie. «Kuhn's Ztschr. f. vergl. Sprachforschung». I
7. Guiraud P. (1967): Structures étymologiques du lexique français. Larousse
8. Hans H. Hock & Brian D. Joseph (1966) Language History, Language change, and language relationship. An introduction to historical and comparative linguistics
9. HOCK H. H. (1986) Principles of Historical Linguistics. Berlin:
10. Rey A. (2006): A mots découverts, Robert Laffont. Paris

11. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=20549> უცხო სიტყვათა ლექსიკონი

Paronymous attraction and folk etymology

Ketevan Djachy

Ilia's University

Romance Department.

32 Ilia Chavchavadze av. 32, Tbilisi, Georgia

Tel:599 508 337

E-mail: kdjachy@yahoo.com

Natia Abashidze

Batumi's Shota Rustaveli State University

Romances Studies Department

35 Ninoshvili av., 6010, Batumi, Georgia

Tel: 593 456 595

E-mail: abanatia@yahoo.fr

Abstract

The present article is dedicated to the lexemes formed through the popular etymology on the basis of which we make the differentiation between this phenomenon and paronymic attraction. Quasi-identity and semantic difference of paronyms with these lexemes is determined by binary structure and functional peculiarities. The words formed through paronymic attraction and popular etymologies often undergo similar diachronic changes but it is impossible to place them into one prism. Paronymic attraction is far wider a concept; it covers different permutations of phonemes. It is revealed in synchrony and diachrony, everyday speech and literature. On the other hand, popular etymology belongs to a narrower field. It can be regarded as one of the revelations of paronyms.

Keywords:

Paronyms attraction, national ethimology, designative, symbol bignarity.

Паронимическая аттракция и народная этимология

Джаши Кетеван Николаевна

Университет Ильи

Департамент романистики

Просп. И. Чавчавадзе 32, 0179, Тбилиси

Тел: 599 508 337

E-mail: kdjachy@yahoo.com

Абашидзе Натиа Гурамовна

Батумский Государственный Университет им.

Шота Руставели

Департамент еврпеистики

ул. Ниношвили 35, 6010, Батуми, Грузия

Тел 593 456 595

E-mail: abanatia@yahoo.fr

результате чего производим дифференциацию этого феномена и паронимической аттракции. Квази-идентичность с этими лексемами и семантическое различие паронимов определяется бинарной структурой и функциональными особенностями. Слова, образованные паронимической аттракцией и народной этимологией, часто испытывают диахронические изменения, но рассматривать их с этой точки зрения нельзя. Паронимическая аттракция более широкое понятие, она охватывает различные пермутации фонем. Она проявляется в синхронии и диахронии, в ежедневной речи и в литературе. Ее можно считать одной из форм проявления паронимии.

Ключевые слова:

Паронимическая аттракция, народная этимология, обозначающий, бинарность знака.

Резюме

В данной статье рассмотрены лексемы, образованные на основе народной этимологии, в